სასტუმროს საშუალო ფასები საქართველოში და სასტუმროს ფასების ინდექსი

PMCG Research

მაისი 2020

2020 წლის მაისში, საქართველოში 3-ვარსკვლავიანი სასტუმროების საშუალო ფასმა[1] **126 ლარი** შეადგინა, ხოლო 4-ვარსკვლავიანი სასტუმროების საშუალო ფასმა - **214 ლარი**. საოჯახო ტიპის სასტუმროების[2] საშუალო ფასმა მაისში **71 ლარი** შეადგინა.

5-ვარსკვლავიან სასტუმროთა საშუალო ფასმა მაისში **362 ლარი** შეადგინა. თბილისში, ამ ტიპის სასტუმროებში, სტანდარტული 2-ადგილიანი ნომრის საშუალო ფასმა 534 ლარი შეადგინა, კახეთში - 325 ლარი, ხოლო იმერეთში - 95 ლარი.



გრაფიკი 1: მოცემულია 3, 4 ვარსკვლავიანი და საოჯახო ტიპის სასტუმროებში სტანდარტული 2 ადგილიანი ნომრის საშუალო ფასები რეგიონების მიხედვით. 5-ვარსკვლავიანი სასტუმროების საშუალო ფასები იხილეთ ტექსტში.

სასტუმროს ფასების ინდექსი

საქართველოში სასტუმროების ფასების ინდექსი[3] 2020 წლის მაისში, 2020 წლის აპრილთან შედარებით, 4.8%-ით გაიზარდა, მათ შორის 3, 4 და 5 ვარსკვლავიანი სასტუმროების ფასების ინდექსი გაიზარდა 5.4%-ით, ხოლო საოჯახო ტიპის სასტუმროების ფასები გაიზარდა 2.5%-ით.

2020 წლის მაისში, 2019 წლის მაისთან შედარებით, სასტუმროების ფასების ინდექსი 2.9%-ით შემცირდა, მათ შორის 3, 4 და 5 ვარსკვლავიანი სასტუმროების ფასების ინდექსი 1.6%-ით გაიზარდა, ხოლო საოჯახო ტიპის სასტუმროების ფასები 21.2%-ით შემცირდა.

რეგიონი	სასტუმრო		3*, 4*, 5*		საოჯახო	
	2020 მაი/ 2020 აპრ	2020 მაი/ 2019 მაი	2020 მაი/ 2020 აპრ	2020 მაი/ 2019 მაი	2020 მაი/ 2020 აპრ	2020 მაი/ 2019 მაი
კახეთი	1.5%	4.6%	2.6%	19.4%	1.2%	1.8%
იმერეთი	2.9%	-3.0%	1.0%	1.1%	4.0%	-4.9%
გურია	15.3%	-10.1%	8.6%	7.8%	22.5%	-37.5%
ქვემო ქართლი	0.0%	2.6%	0.0%	-20.8%	0.0%	5.3%
აჭარა	7.6%	-31.3%	8.9%	-25.5%	6.0%	-38.1%
რაჭა	5.8%	-2.7%			5.8%	-2.7%
შიდა ქართლი	3.1%	-5.3%	26.5%	-2.8%	-2.1%	-12.5%
სამეგრელო-ზემო სვანეთი	2.4%	1.6%	3.7%	3.2%	2.0%	1.0%
სამცხე-ჯავახეთი	4.8%	-5.0%	14.9%	-19.1%	2.6%	-0.9%
მცხეთა-მთიანეთი	0.5%	8.0%	-6.5%	35.9%	7.5%	-2.9%
თბილისი	4.2%	9.1%	4.7%	12.8%	-0.1%	-22.0%
სულ ფასების % ცვლილება	4.8%	-2.9%	5.4%	1.6%	2.5%	-21.2%

ცხრილი 1: ფასების % ცვლილება 2020 წლის მაისში, 2020 წლის აპრილის ფასებთან შედარებით და 2019 წლის მაისის ფასებთან შედარებით.

1 შედეგები მიღებულია საქართველოს 10 რეგიონში და თბილისში 3*, 4*, 5* და საოჯახო ტიპის სასტუმროების სტანდარტული ორ ადგილიანი ნომრების ფასებზე დაკვირვების შედეგად. სასტუმროების შერჩევა მოხდა ფემთნვევითი შერჩევის პრინციპით. ანალიზი მოიცავს booking.com-ზე დარეგისტრირებულ, საქართველოს ტერიტორიაზე განთავსებულ 3*, 4*, 5* სასტუმროების 71%-ს (312 ობიექტი) და საოჯახო ტიპის სასტუმროების 25%-ს (456 ობიექტი). 3*, 4* და 5* სასტუმროების ფასებზე მონაცემების მიღება ხდება სასტუმროებთან დაკავშირების საფუძველზე, ხოლო საოჯახო სასტუმროების ფასებზე ინფორმაციის წყარო booking.com-ია. საშუალო ფასები გამოითვლება სასტუმროების სტანდარტული ორ ადგილიანი ნომრების დღიური განაკვეთების საშუალო არითმეტიკულის გამოანგარიშებით.

2 საოჯახო ტიპის სასტუმრო - სასტუმრო, რომლისთვისაც დამახასიათებელია ნომრების მცირე რაოდენობა და სადაც სტუმრებს მომსახურებას უწევს ოჯახი.

3 სასტუმროების ფასების ინდექსის გაანგარიშება მოხდა საერთაშორისო სავალუტო ფონდის მიერ შეფასებული რეკომენდაციების მიხედვით. უმცირესი ერთობლიობის ინდექსი გამოთვლილია Jevons-ის ინდექსით.